№ 248
ნოემბრის 19, სამშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 248
ნოემბრის 19, სამშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☞ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☜

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე
„ივერია“
ჰღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია ასრულებს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

ასრულებს ჩაბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საველი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—6.—55)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი ალ. მალალაშვილი
მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

№ 16 ტელეფონი № 617.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს 21 ნოემბერს, 1902 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება

პირველად ახალი პიესა, რომელიც პრემიით იყო დაჯილდოვებული პეტერბურგის სალიტერატურო საზოგადოების მიერ.

I

მზეს მოკლებულნი

დრამა 4 მოქ. პავ. პეტ. ვეინბერგისა, თარ. დ. აწყურელისა.

ახლადვე

II

სცენები ჩვენის ცხოვრებიდან

1 მოქ. გადმ. მართა ქლენტის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, როსტომიანი, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი. ქლენტი, რომანიშვილი, რკინელი და სხვ.

ადგილების ფასი: ლოჟები 5 მ.-დან 10 მ.-დე, პარტერი 70 კ.-დან 3 მ.-მდე, ამფითეატრი 80 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე, გალერეია 25 კ.-დან 45 კ.-მდე.

შეგირდებისათვის ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „კოვერლეის მკვლელობა“ (კ. მესხის ბენეფისი), „გრიგალი“, „სიძე-სიმამრი“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია**.

ექიმი
ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1$\frac{1}{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1$\frac{1}{2}$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვების და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7$\frac{1}{2}$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-

(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

გ. გ. მალალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. ზ. მალალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 19 **ნოემბერი.**

ხვალ, 20 ნოემბერს უნდა მოხდეს შავის-ქვის მრეწველთა კრება და, როგორც ბ-ნი **სიმართლე** ბრძანებს: „ჯერ არც ერთს ჩვენს რედაქციას ამაზედ თავისი აზრი არ წარმოუთქვამს“ (იხილე „ივერია“ № 247, შავი-ქვის მრეწველთა მომავალ კრების გამო).

ეს ისეთი საყვედურია, რომლის გამო ჩვენი რედაქცია იძულებულია ხმა ამოიღოს და პასუხი გასცეს ამგვარ მაყვედრებელთ.

ყოველი რედაქცია, რომელსაც-კი თავისი დანიშნულება კარგად ესმის და თავისი თავი არ მიაჩნია არც „Московскій Вѣдом.“-ბად, არც „Черноморскій Вѣстникъ“-ად, მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ მის ჟურნალში, თუ გაზეთში, თავისუფალი მონაწილეობა მიიღოს ყველამ, ვინც-კი საზოგადო საქმისათვის ზრუნავს და მისთვის გული ეწვის. რედაქცია როდი წარმოადგენს „ყოვლად შემძლებელს და ყოვლის მცოდნე“ მწერალთა ჯგუფს, რომელსაც შეეძლოს საზოგადოების მოღვაწეთა დაუხმარებლად, თავისი დასაბუთებული აზრი წარმოსთქვას.

რედაქცია მოვალეა იქონიოს საკუთარი დედა-აზრი, რომელმაც უნდა გაუნათოს გზა მსჯელობაში ცხოვრების სხვა-და-სხვა მოვლენაზე; მხოლოდ სამართლიანი მსჯელობა დამყარებულია ნამდვილს და უტყუარს **ფაქტებზედ**. თუ რედაქციის დედა-აზრი სწორე და მოუსყიდველია, თუ თავისს მსჯელობაში მარტო უტყუარის ფაქტებით ხელმძღვანელობს, მაშინ, რასაკვირველია, შეუძლიან მოჰფინოს ნათელი ავსა და კარგს ჩვენის ცხოვრებისას; და თუ რედაქციის აზრი, რაც უნდა სწორე და მოუსყიდველიც იყოს, ნამდვილს ფაქტებზე არ არის დამყარებული, მკითხველს კანონიერი საბუთი არასოდეს არ ექნება მის აზრს დაეთანხმოს; დაეთანხმება მხოლოდ ის, ვისთვისაც მისი აზრი სასარგებლო იქნება და არა ის, ვინც ყველგან და ყოველთვის სიმართლეს ეძებს.

საიდგან და როგორ მოიპოვოს რედაქციამ უტყუარი ფაქტები, ნამდვილი საბუთები კერძო საგანზედ თვისის აზრის დასამყარებლად? რასაკვირველია, თვით იმ საქმიდგან, რომელზედაც მის აზრსა და მსჯელობას მოვითხოვთ. ყოველს საქმეს საკუთარის თვალით ნახვა და დაკვირვება უნდა, იმიტომ რომ, რასაც ზოგი თითონ დაინახავს, შეიძლება სხვამ ყურადღება არც-კი მიაქციოს და თუ მიაქცია, შეიძლება ბრუნდეთაც დაინახოს.

ეს საზოგადო მოსაზრება შესახებ რედაქციის მოვალეობისა, ჭიათურის საქმეზე რომ გადავიტანოთ, გამოვა, რომ ან თითონ „ივერიის“ რედაქცია უნდა გამგზავრებულიყო ჭიათურის საქმის გამოსაკვლევად, ან ჭიათურაში ისეთი მცოდნე და სანდო კაცი მოეპოვა, რომელიც იქაურს საქმეს რედაქციის თვალით განიხილავდა.

ტყუილი არავისთვის საკადრისი არ არის და მართალი-კი ეს გახლავთ, რომ ჩვენს რედაქციას ჯერ-ჯერობით არ შეუძლიან არც ისა, რომ თავის თვალით ადგილობრივ განიხილოს ჭიათურის საქმე და არც ისეთი სანდო კაცი ჰყავს, რომ მის საბუთებზე თვისი აზრი დაამყაროს. არ შეუძლიან იმიტომ, რომ „ივერიის“ რედაქცია ისეთივე ხელმოკლეა, როგორც უმრავლესი ნაწილი, არამც თუ ქართულის მწერლობისა, არამედ მთელის რუსეთისა. ჩვენის აზრით, არც საჭიროა მივბაძოთ იმისთანა გაზეთებს, რომლებიც არასა ზოგავენ ცხრა-მთას იქით გადასვლისათვის იმ განზრახვით, რომ ამა თუ იმ საქმის შესახებ ნამდვილი ფაქტები შეიძინონ. არ არის საჭირო იმიტომ, რომ ჩვენი ღატაკი მწერლობა ამგვარ „გამოკვლევას“ ვერ გაუძლებს, უღონობის გამო ძვირად შეძენილი ფაქტების დაბეჭდვაც გაუძნელდება და თვით გამოცემაც ადრეულად განისვენებს. ამისთვის, ჩვენმა ღარიბმა დროგამოშვებითმა მწერლობამ სულ სხვა ნაირად უნდა აღასრულოს თავისი დანიშნულება და „ივერიის“ რედაქცია სწორედ ამ სხვა გზას ადგია.

ეს გახლავთ—გზა თავისუფლებისა; იმ გაზეთში, სადაც სუფევს დიდისა და პატარასათვის ნება თავისუფლად საზოგადო საქმეზე დასაბუთებულის აზრის გამოთქმისა, იქ არასოდეს არ დაიმალება არც ტყუილი და არც მართალი; მართალია, დიდი ხანი გავა, მანამ ტყუილი დაისაჯება და მართალი დაჯილდოვდება, მაგრამ, როდესაც მეტი ილაჯი არ არის, მოთმინებაა საჭირო.

თუ მკითხველი ზემოხსენებულს მოსაზრებას დაეთანხმება, მაშინ ჩვენს რედაქციას ჭიათურის **დიდს** საქმეზე არაფერი ესაყვედურება. არ ესაყვედურება იმიტომ, რომ მთელი ოთხი თვეა, რაც ჭიათურის საქმეზე და მის მოღვაწეებზე ვბეჭდავდით თითქმის გაუთავებელს წერილებს ბბ-ნთ აბაშიძისას და ქვარიანისას; მათ შემდეგ კიდევ იყო დაბეჭდილი სხვა წერილები და ბოლოს, ამ ორიოდე დღის წინად დავბეჭდეთ ის წერილი, რომელმაც გამოიწვია ეს დღევანდელი მეთაური.

მართალია, ბბ-ნთ აბაშიძისა და ქვარიანის წერილები ვერავის დააკმაყოფილებს ჭიათურის საქმეთა გამო, რა-

დგანაც საქმის გარდა კერძო პიროვნებაზე კინკლაობასაც ბევრი დრო მოანდომეს და გაცხარებულებმა ავტორებმა კინაღამ ერთმანეთს თავ-პირი არ დაამტვრიეს, მაგრამ ეს რა ჩვენი ბრალია?

რაც უნდა იყოს, „ივერიის" რედაქციის გულ-წრფელი წადილი, ვიმეორებთ, ის იყო და ის არის, რომ ჩვენის ცხოვრების ყოველს შესანიშნავს საქმეზე საზოგადოების წევრს ნება ჰქონდეს, თავისი აზრი გამოსთქვას; ჩვენი რა ბრალია, როდესაც ამ ნებით ისარგებლეს მხოლოდ ბბ. ქვარიანმა და აბაშიძემ! რატომ არ ისარგებლეს ამავე ნებით ბბ. ალ. ნანეიშვილმა და ზდანოვიჩმა; რომელთაც საქმის გარემოებაც კარგად ეჯურებათ და წერა'შიაც დახელოვნებულნი არიან. მათი სიჩუმე მით უფრო გვაკვირვებს, რომ რედაქციის ერთმა წევრმა ორივეს მიმართა წერილით და სთხოვა ჭიათურის მრეწველობის საქმეზე საბუთიანი წერილები მოეწოდებინათ. დაპირებით დაგვპირდნენ ჩვენის სურვილის ასრულებას, მაგრამ დაპირება-კი აღარ შეასრულეს! იყოს ნება მათი!

ჩვენმა შრომამ და გულ-წრფელმა სურვილმა უქმად მაინც არ ჩაიარა და ბოლოს მოგვივიდა ბ-ნ სიმართლის წერილი,—რომელიც არავის პირადობას არ შეეხება და მხოლოდ საქმის ვითარებას გვაცნობებს.

ამ წერილის ავტორი ამტკიცებს, რომ ჭიათურის მრეწველთა საბჭოს გამგეობა ისე არა ზრუნავს საქმისათვის, როგორც მოეთხოვებაო; თუმცა-კი დასძენს, რომ შესაძლოა საბჭოს შესაწყნარებელი საბუთი აქვს იმისი, რომ რად არ გაკეთდა იმაზედ მეტი, რასაც დღესა ვხედავთო. აი, რას ამბობს ავტორი. 1) წარსულს წლებისამებრ, წელსაც არა სჩანს საბჭოს მოქმედების ანგარიშები, რომლებიც კრების წინა დღეს ურიგდება მრეწველებს და რადგანაც ეს ანგარიშები მხოლოდ რუსულად იბეჭდება და უმეტესმა ნაწილმა მრეწველობისამ რუსული არ იცის, ამისათვის საბჭოს წევრნი კრებაზე მოუმზადებელნი მიდიან. 2) ვერ არის კარგს დონეზედ დაყენებული სტატისტიკური ბიურო, რომლისათვისაც წელიწადში იხარჯება 3300 მანეთი და ამასთან ეს ბიურო ყველასათვის ხელმისაწვდენი არა ყოფილა, ესე იგი ზოგს არ შეუძლიან მით ისარგებლოს. 3) სამზღვარ-გარეთის აგენტი, რომელსაც წელიწადში 900 მანეთი ეძლევა, ვალდებულია ყოველ დღე თუ არა, ყოველ კვირაში ერთხელ მაინც აუწყოს ჭიათურელებს, ვინ გაყიდა ქვა, რა ზომისაა მოთხოვნილება შავის ქვისა და რა ფასი აქვს; ამგვარი საჭირო ცნობები თურმე არავისთვის ხელმისაწვდომი არ არის; 4) საბჭოს ჰქონია დავალებული, ჭიათურაში აეშენებია სხვადასხვა შენობანი, სადაც უნდა მოთავსებულიყო თვით საბჭო და მომრიგებელი მოსამართლის განყოფილება, მაგრამ საბჭო ქუთაისში ბრძანდება და მომრიგებელი მოსამართლე შენობის უქონლობის გამო დღესაც საჩხერეში იმყოფება; 5) ჭიათურის ქსენონი, რომელზედაც წელიწადში იხარჯება 20,000 მანეთი, თურმე ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, და ავადმყოფებს უფრო ძვლებითა ჰკვებავენ, ვიდრე ხორცით; 6) საავადმყოფოს ახალ შენობისათვის გადადებული ყოფილა 62,000 მანეთი, მაგრამ უცნაურის მიზეზით შენობა დღესაც არ დაუწყიათ; 7) ჭიათურის გზების მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს შავი-ქვის მრეწველობისათვის, ამიტომ გადადებული ყოფილა გზების გასაკეთებლად ყოველ წლიურად 30,000 მანეთი, მხოლოდ ერთ დროებით 33,103 მანეთი. თურმე ეს ფული არ იხარჯება და გზები ჯოჯოხეთური სავალელია; 8) ჭიათურის ქუჩების მოსაკირწყლავად გადადებული ყოფილა 3,311 მანეთი, მაგრამ ქუჩები ოღრო-ჩოღრო და კისერ მოსატეხები დარჩომილა; 9) საბჭო ბევრს არც განათლებაზედა ჰზრუნავს, რადგანაც მთელს ჭიათურაში ერთი ერთ-კლასიანი სამრევლო და ერთიც საკვირაო სკოლა ყოფილა; 10) აბანოს ასაშენებლად გადადებული ყოფილა 8,000 მანეთი და დაუხარჯავთ ათჯერ მეტი ესე იგი 75—80,000, ამასთან ორი აბანოს მაგივრად ერთი გაუკეთებიათ და ამისათვის ზოგმა მუშა ხალხმა 7—8 ვერსი უნდა გაიაროს, მანამ აბანოს მიაღწევს.

თუ ბ-ნ სიმართლისაგან ზემოდ აღნუსხული ფაქტები უტყუარია, მომავალი კრება, რასაკვირველია, ჯეროვანს პასუხს მოსთხოვს იმას, ვისაც თავისი მოვალეობა არ აუსრულებია და, თუ ტყუილია, მაშინ ბ-ნმა სიმართლემ თითონ უნდა აგოს პასუხი. ჩვენი რედაქცია ამას არ დაგიდევთ, ვინ არის მართალი, პეტრე თუ ივანე; ფრიად სასურველია, რომ კრებამ დაივიწყოს ყოველივე კერძოობა, კარგად ჩაუკვირდეს საქმეს, არ აჰყვეს უბრალო გულის-თქმას და იმ დიდის საქმის ბედი, რომელსაც 100,000 მ. მეტი შემოაქვს ყოველ წლივ საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად უვიც და გამოუცდელ კაცთა ხელში არ ჩააგდოს.

ჩვენ მარტო ისა გვწადიან, რომ მართალი არ დაიმალოს და სიმართლის ნიადაგზე ყოველს კეთილს და სასარგებლო საზოგადო საქმეს წარმატება მიეცეს.

„ივერიის" რედაქციას თავისი თავი მოსამართლედ და მსაჯულად არ მიაჩნია; მას მოეთხოვება სამართლიანი მსჯელობა და მოსამართლე-კი მხოლოდ საზოგადოებაა. 20 ნოემბერს შეიყრება ჭიათურის მრეწველთა კრება, განიხილავს საქმეს და მხოლოდ მაშინ დავინახავთ, რაოდენად აფასებს ჩვენი საზოგადოება სიმართლეს.

ტფილისი

◆ 1901 წლის იანვრისათვის სასოფლო სამეურნეო თანხა სულ ჰქონდათ ტფილისის გუბერნიის სოფლის საზოგადოებათა ნაღდ ფულად 1.432,865 მან. 15 კაპ.

ამას გარდა პურათ ჰქონდათ 70682 ფუთი, ჭვავი—7849 ფუთი და ქერი 62 ფუთი.

◆ ტფილისში განუზრახავთ დაარსონ მომავალ წლის 1 სეკდემბრიდან მცირე-წლოვანთათვის ესრედ-წოდებული დედათ-მაგიერი სკოლა, საცა ბავშვებს განსაკუთრებით ფრანგულს ასწავლიან პრაქტიკულად.

◆ გაზ. „ნოვ. ობოზ."-ეს სწერენ დეპეშით პეტერბურგიდან, რომ ფინანსთა და საერო განათლების სამინისტრომ სრულიად საკმაოდ სცნო ის შეწირულება, რომელსაც დაჰპირდნენ ამიერ-კავკასიის ქალაქები და საზოგადოებანი პოლიტეხნიკუმის დასაარსებლადო.

◆ ალ. ყაზბეგის სახელობაზედ დაარსებულს დედათა პირველ-დაწყებითს სკოლაში ვერაზედ ასამდე პატარა ქალი სწავლობს. სულ ორი განყოფილებაა ჯერ-ჯერობით ამ სკოლაში. მსურველი ბევრი იყო სწავლისა, მაგრამ უადგილობის გამო ბევრს უარი უთხრეს.

◆ გუშინ დაიწყო მთავარ-მართებლის საბჭოში კრება ამიერ-კავკასიის გუბერნატორების მონაწილეობით საერობო ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად.

◆ როგორც ქუთაისიდგან გვწერენ, 14 ნოემბერს შავის ქვის მწარმოებელ საბჭოს, პეტერბურგიდგან აუწყეს, მეოთხე კრება ნება-დართულია 20 ნოემბრიდგანაო. შავის ქვის მწარმოებელთა საბჭომ დეპეშით სთხოვა სამინისტროს ხსენებულ კრების 14 დეკემბრისათვის გადადება.

◆ კვირას, 17 ნოემბერს სამხედრო მუზეუმში დილის 12 საათზედ დაიწყო კავკასიის საუცხოვო ხელოვნებათა საზოგადოების გამოფენა; გამოფენას დიდძალი ხალხი მიაწყდა; ამავე დღეს გამოფენა ინახულა მთავარ-მართებლის თანაშემწემ ბ-ნმა ფრეზემ; გამოფენაზედ თუმცა შესანიშნავი ნაწარმოები არა არის-რა, რომელსაც შეეძლოს მნახველის თვალი და გრძნობა მთლად მიიზიდოს, მაგრამ საერთოდ სასიამოვნო სანახავია სურათთა შორის, ჩვენის აზრით, პირველი ადგილი უნდა დაეთმოს მხატვარ ბ-ნ ზანკოვეცკის ნახატებს, ყოველსავე რასაც მისი თვალი მისწვდენია, და წყალის ჩანჩქარსაც-კი დიდის სინამდვილით ჰხატავს ტილოზედ. გამოფენაში მონაწილეობას იღებენ ჩვენი თანამემამულენიც გაბაშვილი, მრევლიშვილი და ნიკოლაძე.

◆ ვინც წარსულს წლის დიდმარხვაში ბ-ნ გაბაშვილის სურათების გამოფენა ნახა, არ შეიძლება არ ახსოვდეს ერთი სურათი „Хевсуры на досугѣ", რომელსაც თითქმის პირველი ადგილი ეჭირა მთლად გამოფენილ სურათთა შორის; იმ დროს ეს სურათი დამთავრებული არ იყო სრულად; ამ ჟამად ბ-ნ გაბაშვილს ეს სურათი დაუმთავრებია და ამ დღეებში გაჰგზავნის პეტერბურგს სამხატვრო გამოფენაზედ.

◆ ამ ჟამად ქალაქში შემდგარა სპარსელებისაგან სცენის ხელოვნების მოყვარეთა პატარა ამხანაგობა, რომელსაც განზრახვა აქვს ყოველ შაბათობით სპარსულ ენაზედ წარმოდგენა ჰმართოს; პირველი წარმოდგენა გაიმართება იქით შაბათს.

◆ დღეს, 19 ნოემბერს დანიშნულია კავკასიის სამეურნეო „საზოგადოების საბჭოს წევრთა კრება; კრებას მოხსენდება საზოგადოების კასის გაძარცვის ამბავი. საზოგადოების მდივანს განზრახვა აქვს ურჩიოს საბჭოს რომ მან ოფიციალურად სთხოვოს ტფილისის გუბერნატორს, რათა ყოველი ღონისძიება იქმნას მიღებული ქურდების აღმოსაჩენად.

◆ პეტერბურგს გარდაიცვალა მიწად მოქმედების სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ტიხეევი; რომელიც დიდხანს ამიერ კავკასიაში მსახურებდა და რომლის დახმარებითაც მშვენივრად შეისწავლეს და გამოიკვლიეს მთავრობის მოხელეთ სახელმწიფო გლეხთა ყოფა-მდგომარეობა.

◆ ქალაქის იურისკონსულტს, ამ თვის პირველიდამ, თხუთმეტამდის, გამგეობის დავალებით, საჩივარში მიუცია ქალაქის სასწორებისა და ადგილების 19 მოიჯარადრე. ქალაქის სასარგებლოდ გარდასახადი ფული, რომელიც ამათზე არის, უდრის თურმე 11374 მან. 17 კაპ.

◆ ქალაქის გამგეობამ მოიწონა რა ქალაქის ქუჩების განათების პროექტი, 16 ამ თვეს „ჰელიოსის" წარმომადგენელს ინჟინერს ს. ზ. მირზოევს მიმართა და სთხოვა, რომ მან წარმოუდგინოს ქალაქის გამგეობას უკანასკნელი ფასები მიწაში გაყვანილი ელექტრონისათვის კაბელების და სხვა სატეხნიკო მასალებისა.

◆ ქალაქის გამგეობამ ოფიციალური ქაღალდი მიიღო, რომ მომავალ ოთხის წლის ახალ საბჭოში სამღვდელოების დეპუტატათ მამა კ. ცინცაძეს მაგიერად დაინიშნა დეკანოზი ვოსტორგოვი.

◆ ერთნაირი სოკო, რომელსაც კალიის გასაწყვეტადა ხმარობენო, მიკოლოგმა სპეშნევმა გამოსთქვა ის აზრი, რომ სასურველია ამ სოკოს ხმარება ჩვენშიაც იქმნას შემოღებული და თუ ამ ცდას კარგი შედეგი მოჰყვა, იმ შემთხვევაში დახმარება აღმოუჩინოს გლეხკაცობას მის შესაძენად; სამეურნეო საზოგადოების ცალკე კომისიამ ბ-ნს სპეშნევს დაავალა, წარმოადგინოს შემდეგის კრებისთვის დაწვრილებულნი ცნობანი, როგორც ამ სოკოს შესახებ აგრეთვე მის მოხმარების შესახებაც სამზღვარ გარედ და ალჟირის მიდამოებში.

◆ სოფელ ახალქალაქის გლეხ-კაცობას განუძრახავს აღძრას შუამდგომლობა ტფილისის გუბერნატორის წინაშე, რომ ს. ახალქალაქში დაარსებულ იქმნას სასოფლო ქსენონი; ქსენონისათვის გასამართ და ყოველ წლიურ ხარჯს კისრულობს გლეხ-კაცობა.

◆ ქალაქის გამგეობამ გუშინ, 18 ნოემბერს, ტფილისის გუბერნატორთან გაჰგზავნა ქალაქის ქუჩების განათების პროექტი.

◆ ქალაქის ხორცის დუქნებიდგან 15 ნოემბერს გაყიდულა 661 მან. 52 კაპ. ხორცი.

◆ ქალაქის ხმოსანმა, ბ-ნმა ვესელოვზოროვმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, თუ შესაძლოა აღმოაჩინეთ იმისთანა რამ თანხა, რომლის დახმარებითაც შეიძლებოდეს 10 წელიწადში ერთხელ მაინც მოხდეს ქალაქის მცხოვრებთა აღწერაო.

◆ ყუბანის ოლქის საეკონომიო საზოგადოების საბჭო სთხოვს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ საეკონომიო საზოგადოებას გაუგზავნოს ის რვა მენდალი, რომელიც მიესაჯათ ყუბანის ოლქში მცხოვრებლებს; მათში ოთხი ბრინჯაოსია, ორი პატარა ვერცხლის მენდალია და ორიც დიდი ვერცხლის მენდალი.

◆ კვირას, 17 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ მოხდა ახლად ამორჩეულ ხმოსანთა კრება: ხმოსნებმა დაასახელეს კანდიდატები საბჭოში თავმჯდომარისა, როცა ქალაქის მოურავს არ შეეძლება თავმჯდომარეობა და ქალაქის საქმეთა საკრებულოში წარმომადგენლისა; დასახელებულ იქმნენ თავმჯდომარეთ. თ. ნ. ვ. არღუთინსკი—დოლგორუკი, საკრებულოში: თ. ვ. მიქელაძე, არ. ბაბოვი და კ. ალიხანოვი.

ჩვენებური ამბები

ორმეთი (გურია). ს. ორმეთი ჩოჩხათის საზოგადოების ნაწილია. სასოფლო გადასახადს ეს სოფელიც სხვა სოფლებთან იხდის. იხდის აგრეთვე სკოლის გარდასახადსაც, თუმცა არასოდეს აქედგან ჩოჩხათის სასოფლო სკოლაში არავის უსწავლია, რადგანაც მიზეზი მდინარე სუფსაა, რომელიც ჰყოფს ამ სოფელს და ჩოჩხათს ერთმანეთისაგან; მდინარეზე ხიდი არასოდეს არ არის. აბა როგორ უნდა შესძლოს ბავშმა ამოდენა მდინარეში გასვლა და სკოლაში სიარული? ჯერ არ არის მაგალითი, რომ ს. ორმეთიდგან ბავშს ევლოს ჩოჩხათის სასოფლო სკოლაში. ეს მოვლენა მეტად აფერხებს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენში. კარგი იქნებოდა, რომ ორმეთლები თუ ვერ ისარგებლებენ ჩოჩხათის სკოლით, გადასახადს მაინც არ ახდევინებდნენ მათ.

ი. ხომერიკი.

—

ქიზიყი. დაიწყო თუ არა შემოდგომის წირვები და ქორწილები, გასაზარელდა უდიერი სმეულობა, ჯამ-ჯიხვების ჯახა-ჯუხი, ამას მოჰყვა თავ-პირის მტვრევა, ჰრა-ჩხვა.

„რაც საქართველოში დაძალების დროს ღვინო იქცევა და ილევა, ის რომ მოვაგროვოთ და ფულად ვაქციოთ, ისიც ეყოფოდა ჩვენ შვილებს გამოსაზრდელათო" ამბობს აკაკი, ეს დიაღაც საგულისხმო ჭეშმარიტებაა. შვილების მამები და აღმზრდელები ტვინის გამლაყებელ ლოთობისაგან გამოწვეულ ათასნაირ უბედურობით იღუპებიან სულიან-ხორციანად და, რაღა თქმა უნდა, ვერაფერ შვილებს აღგვიზრდიან ამათთანა მამები და აღმზრდელები. **როგორ და რა გზით შეიძლება მოეღოს ბოლო ადამიანთა სულიან-ხორციანად დამღუპავ ლოთობას?** მრავალნი მეტყვიან და-

---

ფელეტონი

პედაგოგიური კანდრაბანდა

ანუ

სახელოვანი Курсъ-**ი ბ-ნ ლევიცკისა.**

„ცნობის ფურცელი" კვლავ შეეხო სახელგანთქმულს ლევიცკის ქმნილებასა. ამ გაზეთის ერთს უკანასკნელს ნომერში ვკითხულობთ შემდეგს საყურადღებო სტრიქონებსა:

„ლევიცკის ყოვლად უმგზავსი წიგნის ამბავი ყველას მოგეხსენებათ. მთელს ქუთაისის გუბერნიის სკოლებს მოედო ეს უმგზავსობა. ჩვენი მასწავლებელი ამ უმგზავსობის გამავრცელებელი აგენტი შეიქმნა: „რა ვქნათო", იმართლებენ თავსა, „სული ტკბილია; მაგრამ ხორცი მწარე არისო. არ გამოჩნდა ისეთი გმირი, რომ სკოლაში სხვა, მთავრობისაგან ნება დართული და მოწონებული, სახელმძღვანელო შემოეღო".

გმირიო? ვაი ჩვენს სიმხდალესა და სილაჩრესა! კანონიერი ელემენტარული უფლების მოხმარებაც-კი ისე გაგვძნელებია, რომ ამ უფლების მომხმარებელი გმირად უნდა ჩაითვალოს ჩვენში. მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ სამოსწავლო მთავრობა იწონებს მრავალს სახელმძღვანელოსა და უფლებას ანიჭებს ყოველს მასწავლებელს ამ მოწონებულს წიგნთა შორის ამოირჩიოს და იხმაროს ის, რომლის იმედი და რწმენა უფრო აქვს, რომელიც მას უფრო მოსწონს და რომელსაც მეტი ხალისით და სარგებლობით მოიხმარებს. ჩვენებური მასწავლებელი-კი იმაზე როდი ფიქრობს, რომ თავისს აზრსა და რწმენაზე გაიაროს, არამედ სულ იმასა სცდილობს გაიგოს, რომელი სახელმძღვანელოს ხმარება უფრო იამება ამა თუ იმ .....პირსა. და ამ პირის სურვილსა და ქეიფს მონურად ემორჩილება. ასეთმა უარყოფამ თავის უფლებისამ, ასეთმა საარაკო სიძაბუნემ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ყოვლად სამასხარაო Курсъ-მა სრული მონოპოლია მოიპოვა მთელს ქუთაისის გუბერნიაში.

ბ-ნ ლევიცკის ქმნილების უმსგავსობა მოიფინა მთელს რუსეთში, მიაღწია სატახტო ქალაქების ყოველს შეგნებულ წრემდი და ასე გასინჯეთ მასხარად გაკეთებულ იქმნა „Новое Время"-ში თვით ბ-ნი სუვორინისაგან, რომელსაც ასე მოსწონს იმ გვარი პოლიტიკანები, როგორიც არის ავტორი **კურსისა.** რა არ დაუმტკიცეს ამ ავტორსა? აქსიომასავით ცხად ჰყვეს, დღესავით ცხადად დაუმტკიცეს, რომ მისი წიგნი თავიდგან ბოლომდინ წარმოადგენს პედაგოგიურს უმეცრებას და სირეგვნეს. დაუმტკიცეს, რომ იგი გავსებულია უაზრო, ღატაკი და ქარაფშუტა შინაარსითა. დაუმტკიცეს, რომ ამ წიგნის შუამავლობით ყოვლად შეუძლებელია განავითაროს ბავშვი გონებრივად და ზნეობრივად. დაუმტკიცეს, რომ ამისთანა ყოვლად უგემურს წიგნს შეუძლიან შეაძულოს მოსწავლეებს თვით რუსული ენა. მაგრამ მასწავლებლებმა მაინც ვერ გამოიჩინეს იმოდენა უნარი, რომ მოიშორონ ეს უაზრობა თავიდგან, გამოაძეონ სკოლებიდგან და ნაცვლად შემოიღონ ხმარებაში ის სახელმძღვანელო, რომელიც თვითონაც მოსწონთ და მთავრობისაგანაც მოწონებულია.

საოცარი კიდევ ის არის, რომ Курсъ-ი ლევიცკისა ნამდვილ კანდრაბანდად უნდა ჩაითვალოს, და ეს მასწავლებლებმა კარგად უნდა იცოდნენ. მოისმინეთ. პირველ გამოცემაზე ამ წიგნს ეწერა ზემო ფურცელზე: „Допущенъ попечительскимъ совѣтомъ Кавказскаго учебнаго Округа къ утребленію въ начальныхъ училищахъ Закавказія". მეორე გამოცემაში ეს **დოპუშჩენი** მთლად გაქრა. რად? სამინისტრომ განუმარტა ავტორს, რომ ადგილობრივ მთავრობას ნება აქვს, მოიწონოს მხოლოდ ის სახელმძღვანელონი რუსული ენისა, რომელშიაც სწავლება სწარმოობს ადგილობრივ ენის შუამდგომლობითაო, და რადგანაც თქვენი წიგნი უარყოფს ადგილობრივ ენის შემწეობას და მთლად რუსულ ენაზე არის შედგენილი, ამიტომ ჩვენ უნდა წარმოგვიდგინო გასაშინჯავათაო. ვერაფრად ეპიტნავებოდა ჩვენს ავტორს ეს ამბავი; მაგრამ რაღას იზამდა. ადგა და წარადგინა თავისი **კურსი**, სამინისტროში. თანაც სხვა გზით დაადევნა მოხსენება, რომ Курсъ-ის წყალობით რუსული ენა ქუთაისის გუბერნიაში საოცარი სისწრაფით მიდის წინაო. მაგრამ ფონს მაინც ვერ გავიდა. სამინისტრომ დაიწუნა წიგნი და უკან დაუბრუნა მის ავტორს მრავალი შენიშვნებით. ეს იყო 1899 წელში. 1900 წლის დამდეგში ბ-ნმა ლევიცკიმ დაბეჭდა ახალი გამოცემა თავისი ქმნილებისა, რომელზედაც ეწერა: „исправлено, согласно указаніямъ ученаго комитета министерства народнаго просвѣщенія", და გაგზავნა ხელახლად მოსაწონებლად პეტერბურგში. მაგრამ გავიდა პირველი წელიწადიც, მეორეც და აგერ მესამეც თავდება და გასწორებულის გამოცემის მოწონება არა სჩანს და არა. ვინც გულდადებით თვალს ადევნებს მთავრობისაგან მოწონებულს წიგნების სიას, იმან კარგად იცის, რომ ამ სიაში სახელოვანი **კურსის** ჭაჭანებაც არ არის. მაგალითად, ამ წლის სამინისტრო ჟურნალის სეკტემბრის წიგნში დაბეჭდილია მეტად მრავალ რიცხოვანისა მოწონებული წიგნებისა და მათ რიცხვში ადგილი არ ღირსებია **კურსსა.** ამ არა მოუწონებლობას ამოწმებს აი ეს ფაქტიც. ამ წელში ბ-ნმა ლევიცკიმ დაბეჭდა მესამე გამოცემა თავისი სახელმძღვანელოს მეორე ნაწილისა, და მასზე არ არის აღნიშნული მოწონება არც ადგილობრივი მთავრობისა და არც სამინისტროსი. მოწონებული კი რომ ყოფილიყო, ვეებერთელა მყვირალა ასოებით აღნიშნავდა ამასა.

კონტრაბანდაა, ნამდვილი კონტრაბანდა და ისიც სრულიად დამპალი საქონლისა. მაგრამ ამ დამპალმა კონტრაბანდამ, ერთის ბებიის წყალობით, მოიპოვა, როგორც მოგახსენეთ, სრული მონოპოლია მთელს დასავლეთს საქართველოში და კანონიერსა და საღს საქონელს სრულიად შეუკრა გზა, და მთელი ნახევარი ჩვენი სამშობლო ქვეყნისა იძულებულია იკვებებოდეს ამ დამპალი და უნელებელი საჭმლითა...

ბ-ნი ლევიცკიც სავსებით სარგებლობს მოხვეჭილი მონოპოლიითა. ჰბეჭდავს თავისს წიგნებს ტლანქი ფორმატით, უშნოდ და ულაზათოდ, მდარე ქაღალდზე მცირეოდენი მახინჯი სურათებით, აკრავს სიფრიფანა ყდას, რომელიც ერთს კვირასაც ვერ გასძლებს, ავსებს აუარებელი შეცდომებით, რომელთა აღრიცხვას მთელი გვერდები უჭირავს მის წიგნებში. და ასე გასინჯეთ, დაუდევრობის გამო გამოტოვებულს ადგილებს აკრავს შიგ წიგნში სახამებლით ცალკე დაბეჭდილს ქაღალდის ნაჭრებზე. მთელს რუსეთში ვერ მოსძებნით ასეთს უმსგავს გამოცემასა. ფასს-კი დიდს ადებს, და ეს ფასი არამც თუ არა კლებულობს, მატულობს კიდეცა. მეორე ნაწილი მისი წიგნისა წინედ ღირდა ცხრა შაურად, ახლა შაურის შინაარსი მოუმატებია და ფასი-კი გაუდიდებია სამი შაურით, ასე რომ უკანასკნელი გამოცემა ცხრა შაურის მაგიერად სამ აბაზად ღირს. ყდაც უფრო კიდევ გაუსიფრიფანებია, ალბად იმ მოსაზრებით, რომ წიგნი მალე გაფუჭდება და თვითოეული მოწაფე ერთის წლის განმავლობაში სამს ოთხს წიგნს გამისაღებსო.

დიაღ, დიდს ზარალში არიან მოწაფეები და მათი დედ-მამანი, რომელთაც რუსულის ენის უმსგავსი სახელმძღვანელოები, ბ-ნი ლევიცკის სიხარბის წყალობით, ერთი ორად და სამად უჯდებათ. მაგრამ თვით მასწავლებელნიც დიდს წაგებაში არიან. მოგეხსენებათ, რომ კარგს ხელოსანს ეჭირვება კარგი იარაღი. მიეცით ხელში თვით სამაგალითო ხელოსანს უვარგისი, ჩლუნგი და ტლანქი იარაღი, აუკრძალეთ სხვა იარაღის ხმარება, და იგი ძალიან უკან-უკან წავა, გადაეჩვევა თავის ხელობას და შეიქმნება ჩათლახი ოსტატი. ასევე უნდა ითქვას მასწავლებელზე. თუ იგი ხმარობს გონივრულად შედგენილს სახელმძღვანელოს, იგი ავარჯიშებს გონივრულად ჭკვა-გონებას არა მარტო მოსწავლეებისას, არამედ თავისს საკუთარსაც, თანდათან წინ მიდის ნაკისრს საქმეში და ხდება ღირსეული მოსპეციალე, ჩინებული ოსტატი. წინააღმდეგ ამისა, დაავალეთ თვით უნიჭიერესს და მარჯვე მასწავლებელს ხმარება უგვანო და მახინჯი სახელმძღვანელოსი, და იგი ხანის განმავლობაში ჩამოვა იმავე სიმდაბლეზე, რომელზედაც სდგას ეს წიგნი. ერთი სიტყვით მასწავლებელი სახელმძღვანელოს ემსგავსება.

ის დაქვეითება იმერ მასწავლებელთა, რომელსაც ყველანი უჩივიან ბოლოს ჟამსა, უმთავრესად უნდა მიეწეროს ბ-ნი ლევიცკის სახელმძღვანელოს გავლენას, რომელიც მასწავლებელს ჰხდის მსხვერპლად უსულგულო

ცინვით, მაგისთანა მარტივ კითხვის გამოცნობას რაღა კოდელ-ნინო ეჭირვება, ჯერ ხალხს განათლება მივცეთ და მერე თავის-თავად მოისპობა სოფლებში ლოთობაც სხვა უთვალავ ცუდ ზნე-ჩვეულებასან ერთადო.

მოვახსენებ ამის მთქმელს. სწორედ იმ „განათლებულებმა“ უარესად შეაჩვიეს ტეტიები ლოთობას, თორემ რა უჭირდა ქვეყანას! გლეხკაცი თუ რამდენჯერმე მოჰხვდება ხოლმე ღვინო-არაყს და შიგ თავს იხრჩობს დოში ჩავარდნილ ბუზივით, „განათლებულნი“ დღე და ღამ წლის-წლობამდის ნაგუბრის ბაყაყებივით ღვინოში ლაღლაღებენ და ყიყინებენ, გარდა ათასში ერთისა. ამათთანა „განათლებულების“ გონების საზრდოც, სულის საუნჯეც და გულის სიხარულიც დიდი ჯიხვები, ფსიტები, ყანწები, ჯამები, კულები და აზარფეშებია, და გლეხკაცნიც უფრო იმათგან იღებენ წასაბაძ მაგალითს... სოფლის ზოგიერთი „აზბუკაძის“ სიმჩატე, ოჩოპინტრობა, „საპოვნიკივით“ სამიკიტნოში გამოთვრობა ჩხუბი, აურზაური, ცემა-ტყეპა, ხანჯლის ტრიალი, „აბლაკატობა“, მევახშეობა, იუდასებური შპიონობ, და სხვა ათასნაირი საზიზღარი ვერაგობა სწორედ საარაკოდ ასაწერია, და ეხლა თქვენ თითონ წარმოიდგინეთ, ბახუსის ასეთი თაყვანის მცემელი რაღა შვილი მასწავლებელი ანუ, როგორც გლეხობა ამბობს „მაწვალებელი“, იქნება ხალხისა, რა ჯურის ახალ-თაობას აღუზრდის იგი საბრალო სოფელს და ან რა ცოცხალი მაგალითი იქნება მეზობლებისა.

ნუ იფიქრებთ, ამათთანა „განათლებულ“ მწიგნობართ, გარდა თავიანთ ჯიბე-კუჭისა, სხვარამ საქვეყნო-საკეთილო საქმენი ეჭიდებოდეთ გულზე, ან ჩვენის ჟურნალ-გაზეთ-წიგნებისა გაეგებოდეთ-რამ წესრიგიანად, და ან ადევნებდნენ თვალყურს სხვა-და-სხვა ერის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ ყოფა-მდგომარეობას, ლიტერატურას, მეცნიერებას. იმათში 5%-ტიც არა კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს და ისინიც (გარდა ათასში ერთისა) მარტოოდენ ახალ ამბებს ათვალიერებენ თათარიახნად და ვის რა „ჩინი“ და ადგილი მისცესო, ამას ეძიებენ მოცლის დროს გასართობად.

იცით, მკითხველო, მათი უკანასკნელ მოდაზედ გამოკანკლულნი ქალ-მანდილოსნები რაღას კითხულობენ?—გაზეთის განცხადებებსა სჩხრეკავენ შორს გამჭვრეტელ თვალთა ხედვის ისარით: აბა, ვნახოთ, რალლე-სიუ-ბროკარს კიდევ სხვა ახალი-რამ სახის გასალამაზებელი წამალი ხომ არ გამოუგონიათო!..

ჩვენს სამარცხვინო დროში ესეც კაი ღვთის წყალობაა, რომ ასში თითო-ოროლანი გაზეთის ახალ ამბებს და განცხადებებს მაინც-კი თხოულობენ სოფლად, მაგრამ საჭირ-ბოროტო ის არის, რომ ყველა წოდების მრავალ-მწიგნობართა ოჯახები წლის-წლობამდის ახალ-მოდის ტანთ-საცმელებისათვის და „ბალ-ვეჩერებისათვის“ ათ-ათ თუმნიანებს ამტვრევენ და აჭიალებენ წარამარად და ერთის გაზეთის გამოსაწერ ფულს-კი ვერ იმეტებენ თავიანთ გონების თვალის ასახილებლად!

ღმერთო ჩემო, ეს რა უგუნური ქვეყანაა: ყოველ დღე და ღამ მუცელს აქორებენ და აღორებენ და უსაზრდოოდ მიმკვდარებულ საბრალო გონებას-კი ცალი გროშის საკენკსაც არ უყრიან!

სულიან-ხორციანად დაიღუპება ასეთ ბედუკუღმართ გზაზე მავალი სოფლები, მაშ რა იქნება! ნეტა ვიცოდე, როდის გვეღირსება ცოდვილების თავზედ გამუდმებით ცეცხლნავთის მაწვიმებელი მწერლობა ჰრელი ქვეყნის მოსარჯულებლად და თვით სოფლის ქკვა მოკლე გოშპარების და კუდა-მეცნიერების მოსაგონიერებლად.

სხვა-და-სხვა უნდათ საკვები
სულდგმულთ ცა-ხმელეთ-ზღვისასა,
გოშპარა როგო დაიჭერს
ნადირსა შავის მთისასა!

მოამბე.

—

ქუთაისი. რაჭა-ლეჩხუმს მიმავალ შარა გზაზედ თეოფილე წერეთელს გასართობი ბაღი ჰქონდა გამართული. მის დუქანში ბევრი ქუთათური თუ სოფლელი ჩოხოსან-სერთუკოსნები ატარებდნენ ხოლმე დროს. აყალმაყალი და ჩხუბი არ იყო არა ჩვეულებრივი მოვლენა. საამისოდ მას გარემოებაც ხელს უწყობდა. იქ იერიქონის ბუკითაც რომ მოგვერთოთ ყვირილი გასაჭირის დროს, პოლიციელს ვერ ნახავდით. საქეიფოს პატრონი წერეთელი უკვე გამოასალმეს წუთისოფელს.

—

გუშინ, 14 ნოემბერს შავი ქვის მწარმოებელთა საბჭომ პეტერბურგიდგან ქაღალდი მიიღო, რომლითაც აუწყებდნენ მას, რომ მეოთხე კრება შავი ქვის მწარმოებელთა 20 ნოემბრისთვის არის დანიშნულიო. იმავე ქაღალდით ეუწყა საბჭოს კრების თავმჯდომარედ დანიშვნა ინჟინერ ცეიტლინისა და პროგრამის დამტკიცება. საბჭომ დეპეშა აფრინა სამინისტროში და ითხოვა კრება 14 დეკემბრისათვის გადედოთ. მაგრამ კრების 14 დეკემბრისთვის დანიშვნაც უხერხულად უნდა ჩაითვალოს, რადგან უქმეები ახლოვდება. თუ სამინისტროს განკარგულება 20 ამ თვისათვის კრების დანიშვნა საბჭოსთვის ხელსაყრელი არ არის, სამაგიეროდ ვერც საბჭოს მიერ დანიშნული დროა საერთო ინტერესთათვის ხელსაყრელი.

ცეიტლინი ის ინჟინერია, რომელმაც ამ 6-ის თვის წინედ შავი ქვისავე მწარმოებელთა არა ჩვეულებრივ კრებაზედ იჩინა თავი. მის თავმჯდომარეობის დროს ერთმა ცნობილმა ექსპორტიორ-ორატორმა, ემერიკმა უშვერის სიტყვით გალანძღა მთელი კრება და თავმჯდომარემ-კი ერთხელაც არ შეაჩერა იგი. მაშინდელი ორთავეს ნაწყენობა დღესაც ყველას გულზე ნემსსავით ასვია და ამ გვარ პირობებში, აღარ ვიცით, დეკემბრის კრება რა გვარის ობიექტიურის ხასიათისა იქმნება!

ისო.

მეხანიზმისა, უშინაარსო ფირმისა.

ისიც ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ის სიველურე ხასიათისა, ის გახრწნილობა ზნეობისა, ის უკიდურესი ურწმუნოება, რომელიც ცხადად ეტყობა იმერთა ახალთაობას სოფლებში ბოლოს წლებში და რომელიც მეტად აწუხებს და აღონებს ყოველს გულშემატკივარს ქართველის ერისას, პირდაპირი შედეგია ხსენებული კურსის ხმარებისა, რომელშიაც ბავშვები ვერა ჰპოვებენ არავითარ განმავითარებელს მასალას, არავითარ ზნეობრივს საზრდოსა, არავითარს სარწმუნოებრივს შინაარს, და ზეპირობენ მხოლოდ ქარაფშუტა ლექსებსა, ცარიელ იგავ-არაკებსა, სამასხარო აჭია-ბაჭიასა.

ქართული ენის სახელმძღვანელოებს შეეძლოთ შეესუსტებინათ ეს მავნებელი გავლენა **კურსისა**; მაგრამ მის გაზეპირებას უნდება სამი წილი დრო და ქართული ენისათვის რჩება მხოლოდ ორიოდ-სამი გაკვეთილი კვირაში. უკიდურესი სიმცირე დროისა ნებას არ აძლევთ მასწავლებლებს ქართული სახელმძღვანელოები მთლიანად და სავსებით შეასწავლონ ბავშვებსა. იგინი უყურადღებოდ სტოვებენ სასაუბროებს, გამოცანებს, ანდაზებს, გეოგრაფიულს და ისტორიულს წერილებსა და მხოლოდ აკითხებენ ზოგიერთა ლექსებსა და მოთხრობებსა, ისიც მეხანიკურად,—რადგანაც დრო არ აქვთ მათი განმარტებისა და ახსნისათვის. ხოლო რომელს სკოლებშიაც მასწავლებლები ქართულს ენას ყოველ დღე ასწავლიან და მთლიანად ათავებენ ქართულს სახელძღვანელოებს, იქ ბავშვები წარმოგიდგენენ შეგნებულს შვილებს საქართველოისას ფართო ჰორიზონტით და არა უღლეურ არსებათა გროვასა, რომელთაც სამშობლო იწყება და თავდება მათი სოფლით, როგორც ეს სამართლიანად აქვს აღნიშნული „ცნობის ფურცლის“ წერილის ავტორსა.

თუ ბ-ნი ლევიცკი უბადრუკია სახელმძღვანელოების შედგენაში, მაგიერათ დიდს ხერხს იჩენს პრაქტიკულს ეშმაკობაში. მოგეხსენებათ, რომ იმერნი მეტად ნიჭიერი ხალხია და ძლიერ ეტანება სწავლასა. ამ მხრივ ვერც ერთი ხალხი მთელის დედამიწის ზურგისა ვერ დაიკვეხებს მათთან უპირატესობასა. ეს გარემოება ეხმარება რუსულის ენის შესწავლასა. უფრო კიდევ ხელსუწყობს ამ შესწავლას ის გარემოება, რომ, ადგილ-მამულის სივიწროვის გამო, იმერნი დიდით პატარამდინ ზამთრობით მიდიან სხვა-და-სხვა ქალაქებში და იქ ეძებენ ცხოვრების სახსარს სხვა-და-სხვა საქმის გაკეთებით, და საქმესთან ერთად სწავლობენ პრაქტუკულად რუსულს ენასაცა. ეს ორი გარემოება არის მიზეზი იმისა, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა ქუთაისის გუბერნიაში უფრო გავრცელებულია, ვიდრე სხვა რომელსამე ამიერ კავკასიის გუბერნიაში. ბ-ნი ლევიცკი-კი სულ გაიძახის სიტყვით და წერილებითი მოხსენებით: ეს სულ ჩემი **კურსის** ნაყოფიაო; მაგრამ საკმარისია მოისმინოთ იმერთა გლეხთა რუსული ლაპარაკი, რათა დარწმუნდეთ სავსებით, რომ ეს რუსული ქუჩური ენაა, ქალაქებში გაგონილი და დახსომებული და არა სკოლაში შეძენილი რიგიანი რუსული ენა. ასე რომ ყველა კეთილ-სვინდისიანი კაცი, რომელიც საქმის გარემოებას ზედმიწევნით გაიგებდა, იტყოდა: იმერთა შორის რუსული ენა ვრცელდება არა **კურსის** წყალობით, არამედ მიუხედავად იმისა, რომ ეს მახინჯი და უგვანო წიგნი ნამდვილს ბორკილს შეადგენს რუსულის ენისა და სწავლა-ცოდნის გავრცელებისათვისაო.

დასკვნა: დასავლეთის საქართველოს სახალხო სკოლას მხოლოდ მაშინ გაუთენდება, როდესაც იგი თავიდგან მოიშორებს ბ-ნი ლევიცკის პოლიტიკანურს და უგვანო курсъ-სა, შემოიღებს მის სანაცვლოდ პედაგოგიურად შემუშავებულს რუსულ სახელმძღვანელოსა, ქართულის ენისათვის ექმნება ექვსი გაკვეთილი კვირაში ყოველს განყოფილებაში, თანახმად პედაგოგიის და კანონის მოთხოვნილებისა და ამ ენის სახელმძღვანელოებს სავსებით და მთლიანად შეისწავლიან მოსწავლენი სკოლის კურსის განმავლობაში.

ვარ—ნელი.

რუსეთი

1900 წელს რუსეთის რკინის გზებზედ 5,084 უბედურება მომხდარა. აქედგან: 1,367 ჯერ მატარებელი ლიანდაგს გარდასცდენია, 967 ჯერ მატარებლები ერთმანეთს დაჰჯახებია; სულ დაშავებულა 8,659 კაცი. აქედგან 1,406 კაცი მომკვდარა, დანარჩენი 7,253 დასახიჩრებულა. დახოცილებში 839 კაცი გარეშე ყოფილა და არა რკინის გზის მოხელე. დაშავებულთაგან მოხელე ყოფილა 1,768.

— მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აზრადა აქვს 1903 წ. მეტი ფული გადასდოს იმ სასოფლო-სამეურნეო კურსებისა და ლექციებისათვის, რომლებიც სოფლის მასწავლებელთათვის იმართება.

— მთავრობამ გაადიდა ის თანხა, რომელიც განაპირა ადგილებში რუსთა გადასახლების საქმეს ჰხმარდება. წელს ამ საქმისათვის გადაიდო 98,000 მ. მომავალში-კი გაცილებით მეტს გადასდებენ.

— რუსეთის ერთს ფირმას 150,000 მანეთი შეუძლევია გორკისთვის მის თხზულებათა გამოცემის უფლების მოსაპოვებლად.

— მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო შეიტანს განსახილველად სამეურნეო საბჭოში სამეურნეო საზოგადოებათა კავშირის პროექტს. პროექტს აზრად აქვს სამეურნეო საქმეთა გაუმჯობესება. ამისთვის მიწად-მოქმედების დეპარტამენტი განსაკუთრებულის ცირკულიარით სთხოვს სამეურნეო საზოგადოებათ, მიაწოდოს სხვა-და-სხვა ცნობანი, რომელნიც სამეურნეო საქმეთა გაუმჯობესებას შეეხება.

— ფინანსთა სამინისტრო შეუდგა ბირჟის წესდების გადასინჯვას, რომელიც 5 წელია მზად ყოფილა.

— გზათა სამინისტრომ გამოსცა რკინის გზით მიმოსვლის რუქა.

— 12 დეკემბერს მოჰხდება იურიევის (დორპატის) უნივერსიტეტის ასის წლის არსებობის დღესასწაული. უნივერსიტეტში 200-მდე პროფესორი და სხვა მოხელენი, ხოლო სტუდენტები 1,700-ზე მეტი.

უცხოეთი

საფრანგეთი. გასულს ხუთშაბათს ნაციონალ დეპუტატმა ლაზისმა წინადადება მისცა პალატას,—ეპატიოს დანაშაული ყველას, ვინც საზოგადო გაფიცვაში მიიღო მონაწილეობაო, და ითხოვა, მალე მოახდინეთ განკარგულება იმის შესახებაო-

ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა განაცხადა, რადგან გაფიცვა ჯერ არ გათავებულა, უდროდ მიმაჩნია პატიების შესახებ მსჯელობაო, და ის აზრი გამოსთქვა, რომ ლაზისის წინადადება კომისიას გადაეცესო. პალატამ 311 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 244-სა საჭიროდ სცნო განხილვა დეპუტატს წინადადებისა. ლაზისი თხოულობდა, ეხლავ შეუდექით განხილვასაო, მაგრამ პალატამ ხმის უმეტესობით დაადგინა, კომისიას გადაეცეს იგიო.

— გაზ. „Figaro“-ს სიტყვით, იუსტიციის მინისტრ ვალლეს სასტიკი განკარგულება მოუხდენია ემბერის ოჯახობის აღმოსაჩენად. მეორეს მხრით, ემბერის მოვალეებს 100,000 ფრანკი გამოუღიათ, რომ პოლიციას დაეხმარონ და მალე აღმოაჩინონ ბოროტ-მოქმედთა ბინადრობა.

ინგლისი. ახლა-ხან მოხდა მოლაპარაკება ლიბერალთა დასის მეთაურ კემბელ-ბანერმანსა და ლიბერალ იმპერიალისტ მეთაურთა, ასკიტსა და ედუარდ გრეის შორის.

ზოგიერთი გაზეთები ჰგონებს, კემბელ-ბანერმანმა გადასწყვიტა, ზოგი რამ დაუთმოს ლიბერალ-იმპერიალისტთა და ლორდ როზბერისაო. გაზ. „Daily News“-ი გადაჭრით უარ ჰყოფს ამ აზრსა და ამბობს,—მოლაპარაკება მხოლოდ ერთ მუხლს შეეხებოდა, სახელდობრ, შაქრის კონვენციასა და ლორდ როზბერი სრულიად არავის მოუხსენებიაო. გაზეთი აცხადებს, საზოგადოდ როზბერის აზრებსა და სიტყვებს არავითარი გავლენა არა აქვს ლიბერალთა დასის პოლიტიკაზეო.

— გაზ. „Manchester Guardian“-ის კაპელი კორესპონდენტი იუწყება, ახალშენთა მთავრობამ გადასწყვიტა დაუბრუნოს ფერმერებს თოფები რომელნიც ომის გამოცხადებისას ჩამოართვეს მცხოვრებთაო. გარდა ამისა ხმა გავარდა,—ჩემბერლენის კაპშტადს მოსვლას ის მოჰყვება, რომ ომიანობის დროს დამნაშავედ ცნობილთ ყველას ეპატიება სასჯელიო.

— ჯიბუტიდგან ცნობა მიიღეს ლონდონს აბაშეთის ნეგუს მენელიკმა, ინგლისის მთავრობის თხოვნისამებრ, აღკრძალა ტყვია-წამალითა დ თოფ-იარაღით ვაჭრობა ჰარარაში იმ აზრით, რომ სომალიის ბელად „გიჟ მოლას“ ხელი შეუშალოს და იარაღის შეძენის საღსარი არ მისცესო. როგორც ვიცით, ინგლისის მხედრობამ მეოთხედ გაილაშქრა „გიჟ მოლას“ წინააღმდეგ.

სამხრეთ-აფრიკა. ნოემბრის 7-ს იოჰანესბურგს მოვიდა პორტუგალიის მოზამბიკის გუბერნატორი, რომელიც მიიღო სამხრეთ-აფრიკის ახალშენთა მთავარ-კომისარმა ლორდ ალფრედ მილნერმა.

მართალია, ოფიციალურად უარჰყოფენ იმ ხმებს, რომ ინგლისს განზრახვა აქვს ნავთსადგური დელაგოა და ლორენცო-მარკეზე შეიძინოს პორტუგალიისაგანაო, მაგრამ ამ ხმებს დაჟინებით იმეორებენ და გარდა ამისა, გახშირებული მიმოსვლა ინგლის-პორტუგალიის დიპლომატთა შორის ეჭვსა ჰბადებს, რომ მოლაპარაკება ამ საგნის შესახებ ჯერ კიდევ არ გათავებულა. ყოველ შემთხვევაში ახლო მომავალში ყოველივე გამომჟღავნდება.

ისპანია. საგასტას განახლებულ სამინისტროს ერთი ყოფა დაუწია ოპოზიციამ სენატშიაცა და დეპუტატთა პალატაშიაც. სენატში სამერორობლედომ პირში მიახალა საგასტას, პოლიტიკაში მიუკერძოებლობის გზას ადგიხართო; თქვენ დასის მეთაური-კი არა, მეფის ნებიერი ხართო. შეიქნა ერთი ხორხოცი დარბაზში. ასტყდა ლანძღვა-გინება საგასტას მომხრეთა და მის მოწინააღმდეგეთა შორის. მინისტრი იძულებული გახდა კრება შეეწყვიტა და წასულიყო. ასეთივე ამბავი დაუწიეს დეპუტატთა პალატაში. დეპუტატები ყვიროდნენ: „აღარა გვყავს მთავრობაო“. საგასტამ დასტოვა კრება. პალატის თავმჯდომარე იძულებული შეიქნა, კრება შეეწყვიტა და შემდეგისათვის გადაედო. ისპანიის გაზეთობა საგასტას მოქმედებასა ჰკიცხავს. მხოლოდ ყველა ოპოზიციის ჯგუფთა წინადადება—საპარლამენტო კომისია დაინიშნოს ამავე საგასტას პირვანდელ კაბინეტის მოღვაწეობის გამოსაძიებლადაო—161 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 118-სა უარ-ყოფილ იქმნა.

ავსტრია-უნგრეთი. ავსტრიის პარლამენტი ცოტა არ იყოს დაწყნარდა. მინისტრ-პრეზიდენტ კერბერის წინადადებით ბოჰემიის გერმანელთა იკისრეს ენების გამო ატეხილ დავას მშვიდობიანად დავამთავრებთო. ნოემბრის 7-ს მოხდა კრება ბოჰემიის გერმანელთა პროგრესიულ დასის წევრთა, გერმანელ სახალხო დასისა და ფეოდალთა კონსტიტუციის ჯგუფისა.

პროგრესიულ დასის თავმჯდომარე ფუნკემ აღნიშნა, მეტად საჭიროა რაიმე ღონისძიებას მივმართოთ და უეჭველად შევსცვალოდ ეხლანდელი პოლიტიკური მდგომარეობაო.

კრებაზედ გამოირკვა, რომ გერმანელ-პროგრესისტები მზად არიან ბევრი რამ დასთმონ, და რეიხსრატის მოქმედებას ხელი შეუწყონ, თორემ პარლამენტი დათხოვნილ იქნებაო. ამისათვის არჩეულ იქმნა კომიტეტი, რომელმაც მოლაპარაკება უნდა გამართოს „სრულიად-გერმანელთა“ ჯგუფებთან.

სხვა-და-სხვა წერილები

სამეურნეო და საოჯახო საქალებო სასწავლებელნი საზღვარ-გარედ და რუსეთში.

(ვუძღვნი აკაკის)

რომ თითოეულ ქალისათვის, რომელსაც ჰსურს იქმნეს კარგ დედად და ნამდვილ მეუღლედ, რომელსაც ჰსურს ნაყოფი მოუტანოს იმ არე-მარეს, სადაც სცხოვრობს, რომელსაც სურს ჩაუნერგოს შვილებს მამულის სიყვარული, გაამაგროს ოჯახი, გააუმჯობესოს თავისი ქონებრივი მდგომარეობა, ქვრივობის დროს არ წაქციოს ოჯახი და არ გაფლანგოს მამული, ვიმეორებთ, ამისთანა ქალისთვის მიუცილებლად საჭიროა სამეურნეო და საოჯახო საგნების ცოდნა. ამას სხვათა-შორის, ნათლად გვიმტკიცებს მრავალნაირი სამეურნეო და საოჯახო სასწავლებლების გავრცელება უცხოეთში.

სამეურნეო და საოჯახო სასწავლებლები (Сельско-хозяйственныя и домо-хазяйственныя) არის:

ა) 14—15 წლის ქალიშვილებისთვის. ამგვარს სასწავლებლებში, გარდა საზოგადო საგნებისა, სამღვთო სჯულისა, დედა-ენისა, არითმეტიკისა და სხვა, თეორეტიულად და პრაქტიკულად ასწავლიან მებოსტნეობას, მებაღეობას, კარაქის, ყველის გაკეთებას, რძის შენახვას, აბრეშუმეულობას, ფრინველთ მოვლა-მოშენებას, ღორის მოვლა-მოშენებას, მზარეულობას, რეცხვას, ჭრა-კერვას, უთოობას, ქარგვას და ქსოვას, გიმნასტიკას, სიმღერას და ცეკვას. სადილობამდის შეგირდებს ასწავლიან საგნებს პრაქტიკულად, ნასადილევს—თეორიულად. კურს-დამთავრებულთათვის ინიშნება ეგზამენები—გამოცდა, რომელზედაც წარმოადგენენ ხოლმე შაგირდების ნაწარმოებს; ეგზამენებზედ ესწრებიან კერძო პირები. ამნაირ სასწავლებლებს აარსებენ ქალაქებში, სადაც შეიძლება მასწავლებლების შოვნა ადვილად.

ბ) სასწავლებლები მოწიფულ მდიდარ ქალებისთვის. ამ სასწავლებლებში უმეტესად პრაქტიკულად ასწავლიან სამეურნეო და საოჯახო საგნებს. ნასადილევს ზოგიერთს სასწავლებელში ასწავლიან მუსიკას, ხატვას, სიმღერას, და სხვა-და-სხვა ენებს. რადგანაც ამნაირ სასწავლებლებში შედიან საზოგადო საგნების მცოდნე ქალები (გიმნაზიასა და ეპარქიალურ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი), ამიტომ მათი მეცადინეობა დამყარებულია სამეურნეო და საოჯახო საგნების სწავლაზე.

სასწავლებლებს ღარიბ ქალიშვილებისთვის აქვს პრაქტიკული ხასიათი. მოზარდ ქალიშვილებს ასწავლიან მებოსტნეობას, ფრინველთ მოვლა-მოშენებას, ქსოვა-კერვას, ქარგვას და სხვა. მოწიფულ ქალიშვილებს ასწავლიან: რქოსან საქონლის მოვლას, წველას, ყველის და კარაქის კეთებას და სხვას. ზოგიერთ ამნაირ სასწავლებლებში ასწავლიან: სიმღერას, წერას, ბუხგალტერიას და ავითარებენ ზნეობრივ. გავრცელებულია სამოსწავლო ოჯახები (учебныя хозяйства), სადაც დაწვრილებით ასწავლიან ყოველნაირ სამეურნეო და საოჯახო დარგებს, როგორც მდიდრებს, აგრეთვე ღარიბებს.

შესასწავლებლად ერთი ან ორი სამეურნეო საგნისა უცხოეთში ძალიან გავრცელებულია დემონსტრატიული კურსები და ლექციები, რომლებიც გრძელდება ორი კვირიდგან ხუთ თვემდის. კერძოდ, საფრანგეთში ძალიან გავრცელებულია ისეთი სასწავლებლები, სადაც ასწავლიან საზოგადო საგნებს და მასთან მეურნეობას და მეოჯახეობას; ავსტრია-უნგრეთში იგივეა, რაც საფრანგეთში, მაგრამ პრაქტიკული სკოლებიც ძალიან გავრცელებულია. სამხრეთ გერმანიაში უფრო გავრცელებულია პრაქტიკული საქალებო სასწავლებლები. ჩრდილოეთ-გერმანიაში და საზოგადოდ ჩრდილოეთ-ევროპაში უფრო ხშირია „სამოსწავლო ოჯახები“. კურსების და ლექციების მოსაწყობად არსებობენ ოლქის ინსპექტორები, მოსიარულე მასწავლებლები და ინსტრუქტორები.

უცხოეთის სოფლებში თითქმის არასოდეს არ კითხულობენ კურსებს და ლექციებს, რადგანაც ეს გამოუსადეგარიაო და ამიტომ ლექციებს სულ ქალაქებში კითხულობენ. შესაძლებელია, ეს მართლა უსარგებლო იყოს უცხოეთში, ჩვენში-კი, რომ ლექციები და კურსები სოფლისთვის უფრო ნაყოფიერი იქნება, ეს ეჭვს გარეშეა.

ამნაირად, ევროპაში არის ექვსი ჯური სასწავლებლები ქალთათვის: ა) პრაქტიკული სამეურნეო სასწავლებელი 18—25 წლის მდიდარ ქალთათვის; ბ) სამეურნეო და საზოგადო საგნების სასწავლებლები 12—15 წლის მდიდარ ქალიშვილებისათვის. გ) სამოსწავლო ოჯახები. დ) პრაქტიკული სასწავლებელი ღარიბთათვის. ე) პრაქტიკული სასწავლებლები 18—25 წლოვან ღარიბთათვის. ვ. სამოსწავლო ოჯახები.

გარდა ამისა ბადენის საჰერცოგოში არის საქალებო სემინარია, საიდგანაც გამოდიან მასწავლებლები სამეურნეო და საოჯახო სასწავლებლებთათვის.

გერმანიაში სადაც, საოჯახო და სამეურნეო განათლებას უპირველესი ადგილი უჭირავს, არის სამნაირი სასწავლებელი: ა) საოჯახო, ბ) სამეურნეო საოჯახო.

და ვ) სპეციალური, სადაც ასწავლიან ბაღოსნობას, კარაქის კეთებას, რძის შენახვას, ყველის კეთებას, მეწველ ძროხის მოვლას. უძველესს საოჯახო სასწავლებლებს ეკუთვნის ხუთი სკოლა ვირტემბერგში, სახელდობრ შტუბერსგეიმს, ერბასს, შრონცბერგს, აულენდორფს და გერენბერგს. სასწავლებლების მიზანია გაზრდონ დაბალ და საშუალო წოდების ქალიშვილები და პრაქტიკულად შეასწავლონ მეოჯახეობა, განავითარონ შეგირდები გონებრივად და ზნეობრივად, შეაჩვიონ სიწმიდეს, წესიერებას, რიგიანობას, ერთმანეთის პატივის ცემას, უფროსის მორჩილებას. ქალიშვილები სწავლობენ: ფრინველების მოვლა-მოშენებას, მეწველ საქონლის მოვლას, მებაღეობას, საჭმლის გაკეთებას, პურის ცხობას, რეცხვა-უთოობას, წმენდა-დაგვა-მოლაგებას, ტანისამოსის მოვლას, ჭრა-კერვას, (კერვას ხელით და მაშინით) ქსოვას და ქარგვას.

ქალიშვილებს ნება ეძლევათ სასწავლებელში მოიმზადონ თავისთვის მზითევი. ასწავლიან აგრეთვე ანგარიშს, წმინდა წერას, წერილების და საქმის ქაღალდის შედგენას. ასწავლიან შინაურ ექიმობას, ავადმყოფის მოვლას და გალობას. დროზედ საქმის გაკეთება და უფროსების განკარგულების ასრულება არის მიზანი ქალიშვილებისა.

მასწავლებლები სულ ქალებია, გარდა ინსპექტორისა; მასწავლებლები და მოწაფეები შეადგენენ ერთ განუშორებელ ტკბილ ოჯახს, სადაც თვითეული მათგანი აღჭურვილია სურვილით სინიდისიერად შეასრულოს თავისი მოვალეობა. ყოველი დღე იწყება ლოცვით, რომელსაც კითხულობს დიასახლისი ან მასწავლებელი ქალი; სადილის წინ და ნასადილევს ლოცულობენ რიგრიგად ქალიშვილები. ნასადილევს დასასვენებლად ეძლევათ ნახევარი საათი; ნავახშმევს იწყება ქსოვა, და ამ დროს შეგირდები ან გალობენ და ან ერთი მათგანი ხმა მაღლა კითხულობს რამე წიგნს. სასწავლებელს თვალ ყურს ადევნებს კომისია, რომელსაც ირჩევენ სასწავლებლის დამაარსებელნი

(საზოგადოება) და ინსპექტორი. მასწავლებლებს შეადგენენ: მართველი ან დიასახლისი, რომელიც ასწავლის მეოჯახეობას, ერთი მასწავლებელი ქალი ასწავლის ხელ-საქმარს, ერთი ქალი და მასწავლებელი კაცი ასწავლიან საზოგადო საგნებს, ექიმი ასწავლის ჰიგიენას და ავადმყოფის მოვლას. კურსი თავდება 5—6 თვეს.

ზაფხულის კურსი იწყება მაისში და თავდება ოქტომბერში; ზამთრის-კი იწყება ნოემბერში და თავდება აპრილში. მოწაფეები საზოგადოდ ისმენენ ორივე კურსს. კურს დამთავრებულთათვის ინიშნება ეგზამენები, რომლებზედ ესწრებიან გამოცდილნი დიასახლისნი.

ამ სასწავლებლებს დიდი ნაყოფი მოაქვთ სოფლისთვის და ოჯახისთვის. ამის მზგავსი სკოლები დაარსებულია ეხლა აგრეთვე ბავარიაში—მენფელდფელდში, ტოკენდკაუზენში, ლივლსფელდში, როგგენბურგში, ვერისგოფენში. დიდ გესენის სჰერცოგოში არის კიდევ სამი ამ ნაირი სასწავლებელი.

საქალებო სკოლებში სხვა საგნებთან ერთად ასწავლიან აგრეთვე, წლის განმავლობაში, მებაღეობას, მებოსტნეობას, ფრინველთ მოვლა-მოშენებას, მეფუტკრეობას, ღორის მოვლა-მოშენებას და სხვა.

საქსონიაში 1896 წლამდე იყო საქალებო სამეურნეო და საოჯახო სასწავლებლები, რიცხვით ოცდათექვსმეტი და იმის შემდეგ და ეხლაც რიცხვი სასწავლებლებისა თან-და-თან მატულობს.

გერმანიის საქალებო სამეურნეო და საოჯახო სასწავლებლის ორგანიზაციაში ის არის შესამჩნევი, რომ, შედარებით, მოკლე ხანში მოწაფეებს შეუძლიათ ბეჯითად შეისწავლონ ის, რაც მათ პრაქტიკულს ცხოვრებაში მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ეს რომ ასრე არ იყოს, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, გერმანელი უსარგებლოდ დროს არ დაჰკარგავდა, უბრალოდ გროშსაც არ დახარჯავდა ამისთანა საქმისთვის.

შეერთებულ შტატებში უმაღლეს სამეურნეო ცოდნას დებულობენ ქალები სამოც-და-ოთხს კოლლეჯში, (კოლლეჯი უნივერსიტეტზე დაბალი სასწავლებელია) თითოეულს კოლლეჯს აქვს საკუთარი ფერმა. ავსტრია-უნგრეთში ორი-ათას-ას-ორმოცზე მეტი სამეურნეო საზოგადოებებია, რომლებსაც ჰყავს ას-სამოცდა-ოთხი-ათასზედ მეტი წევრი. ასეთ პატარა სახელმწიფოს, როგორიც რუმინიაა, აქვს სამაგალითო საქალებო-სამეურნეო ინსტიტუტი. დიდს მეცადინეობაშია სამეურნეო და საოჯახო სწავლა-განათლების გასავრცელებლად ბელგია, შვეიცარია, დანია და სკანდინავია, გოლლანდია და კანადა.

(შემდეგი იქნება)

ნ. მკურნალი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

კვირას, ნოემბრის 17-ს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა თავ. ალ. ივ. სუმბათაშვილის (იუჟინის) 20 წლის სასცენო და სალიტერატურო მოღვაწეობის პატისაცემლად მისივე პიესა „ბორკილი“.

პიესის შესრულების შესახებ საყოველთაოდ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი მსახიობნი თითქოს გუნებაზედ არ იყვნენო, ზანტად, უგულოდ თამაშობდნენ, ვერ დაგვიხატეს ნამდვილი სურათი ცხოვრებისა; რომ ცოტაოდენი სიცოცხლე ქ-ნს ჩერქეზიშვილისას (ანფისა), ბ-ნ კ. მესხსა (პრაპორიევი) და გედევანოვს (ანდრი ხვოროსტნიოვი) არ შეეტანათ წარმოდგენაში, მაყურებელთა უმრავლესობას სწორედ დაეძინებოდა. არა უშავდა-რა ქ-ნ ო. ლეჟავას ცქრიალა გიმნაზიელ ქალის, ანნას როლში.

წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო.

—

კვირას, 17 ნოემბერს ავლაბარში მურაშკოს ახლად აშენებულ თეატრში, სცენის მოყვარულებმა გამართეს ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს გ. სუნდუკიანცის 3 მოქ. კომედია „პეპო“. და კ. ყიფიანის 1 მოქ. ვოდევილი „დატრიალდა ჯარა“. წარმოდგენამ საზოგადოდ სუსტად ჩაიარა; მხოლოდ სამი ადამიანი გამოირჩეოდა კარგის თამაშობით, ქ-ნი ვაშაკიძე, ბ-ნი იმედაშვილი და მაისურაძე. წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო.

ვ. მატარაძე.

—

ხუთშაბათს სცენის მოყვარულნი რკინის გზის სახელოსნოების თეატრში გაიმეორებენ „პარიჟელ ღარიბ-ღატაკებს“.

—

სახალხო თეატრი. შაბათს, 16 ნოემბერს ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრში სცენის მოყვარულთა წარმოადგინეს „პარიჟელი ღარიბ-ღატაკნი“. წარმოდგენამ მკრთალად ჩაიარა, თუმცა ზოგიერთ სცენის მოყვარულმა საუცხოვოდ შეასრულა თავისი როლი. ბ-ნი ჯაბაური კარგი პოლი იყო. დანარჩენს მოთამაშეთა შორის მოვიხსენებ ბ-ნ რომანიშვილს, რომელიც დობინიეს როლს ასრულებდა. ეს როლი შესაფერისი არ იყო რომანიშვილისთვის და ამიტომ მან სასურველად ვერ ჩაატარა.

ამისთანა პიესის წარმოდგენა იმ გვარ პატარა სცენაზე, როგორიც ავჭალის ქუჩისაა, ძალიან უხერხულია, რადგან ამ პიესაში მოქმედნი აუარებელნი არიან, სცენაზე-კი ადგილი პატარაა. ამით მაინც არ გვინდა საყვედური ვუთხრათ ამ პიესის წარმოდგენისათვის სექციას, რადგან ძალიან ცოტა გვაქვს სახალხო თეატრში წარმოსადგენი პიესები.

—

ქუთაისი. ქართული წარმოდგენა (მ. ფ. ქორიძის დებიუტი) ხუთშაბათს, 14 ნოემბერს ქართულმა დრამატიულმა დასმა ბ. ალექსი-მესხიშვილის გამგეობით და მონაწილეობით წარმოადგინა გაუპტმანის 2 მოქმ. დრამა „ავადმყოფი ხალხი“ ბ. ქორიძის სადებიუტოდ. ჩვენ ამ წერილში არ გვაქვს მიზნად ზემოხსენებული დრამის გარჩევა და არც ყველა მსახიობთა თამაშის შესახებ გვსურს ვისაუბროთ; ჩვენი მიზანია აღვნიშნოთ და განვმარტოთ ბ. მ. ფ. ქორიძის თამაში ვილჰელმის როლში. ბ. ქორიძემ მშვენივრად დაგვიხატა ნერვებით ავადმყოფი ვილჰელმი. განსაკუთრებით საუცხოვო იყო ბ. ქორიძე იმ დროს, როცა ის მამის წინაშე მუხლებზე სდგას და ტირილით შენდობას სთხოვს. მას ამ დროს თვალებიდგან ცრემლების ნაკადული მოჰსქდა და მაყურებელნიც აატირა. მისი თამაში ბუნებრივი და დაკვირვებული იყო, რის გამოც გამოწვევას დატაშის ცემას საზღვარი არ ჰქონდა.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ ბ. ქორიძე დიდი ნიჭის პატრონია და ხმაც ხელს უწყობს მის თამაშს. ჩვენის აზრით მას დიდი მომავალი მოელის: ის ჩვენი სცენის დამამშვენებელი იქნება და ვუსურვებ დიდხანს ემოღვაწნოს.

ბ. მიხეილ ქორიძე არის შვილი ჩვენი ნიჭიერი კომპოზიტორის ფილიმონისა. მას აქვს დამთავრებული ლაზარევის ინსტიტუტი მოსკოვში. ორი წელი იტალიაშიაც დაუყვია და სცენას და მუსიკას საკმაოდ გასცნობია. ეხლა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მოუსურვებია, რადგანაც მას მიდრეკილებაც აქვს და უზომო სიყვარული სცენისადმი, მთელი თავისი ძალ-ღონე სცენაზე სამსახურს შესწიროს.

დანარჩენების თამაში ჩვეულებრივათ ვვარიანი იყო. ქ. მდივანი ძლიერ კარგი იყო ავგუსტას როლში, ბ. მესხიშვილი-კი (რობერტი), როგორც ყოველთვის შეუდარებელი. ამას გარდა წარმოადგინეს „პარიჟელი ბიჭი“. მთავარს როლს ჟოზეფისას ქ. ტასო აბაშიძე თამაშობდა და როგორც მოსალოდნელი იყო მშვენივრად შეასრულა. ხალხი ბლომად დაესწრო.

პ. ქ.

„ივერიის“ ფოსტა:

ტფ—სს. ი—ო ტ—ლს. თქვენი ლექსი „ზოგიერთს მოღვაწეს“ არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

16 ნოემბერი

სევასტოპოლი. საერო განათლების მინისტრი რეალურ სასწავლებელში იყო. მინისტრმა უთხრა მოსწავლეებს, როდესაც ხელმწიფე იმპერატორს მოხსენება წარვუდგინე, ვახსენე სევასტოპოლის სასწავლებელი, ხელმწიფე იმპერატორმა მოწყალედ მოიხსენია სასწავლებელი და მოიგონა, რომ მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ნახიმოვის ძეგლის გახსნის დროს და მწყობრად გაიარესო.

ლონდონი. როგორც „სტანდარდ“-ი იუწყება, ინგლისის მეციხოვნენი 7 დეკემბერს მიდიან შანჰაიდან.

სარატოვი. ოლქის სასამართლომ დაადგინა, არ დააწესოს ადმინისტრაცია გაკოტრებულ ზეიფერტის საქმეების გამო. პასსივი $4\frac{1}{2}$ მილიონზე მეტია.

ბერლინი. როდესაც რეიხსტაგში ლაპარაკი ჰქონდათ კარდორფის წინადადების მიღების შესახებ, ბებელმა სთქვა, რიხტერი უმცირესობის გამცემიაო. რიხტერმა მიუგო, ეს სისაძაგლეაო. თავმჯდომარემ ბებელს წესის დაცვა მოსთხოვა. საგნის განხილვა ორშაბათისთვის გადასდეს.

ევქსინოგრადი. დააპატიმრეს ერთი კაცი; ეს კაცი ანარხისტი ჰგონიათ. ეჭვი აქვთ, იმას ბოლგარიის მთავრის მოკვლა უნდოდაო.

პეშავერი. ვაზირიების დასასჯელად გაგზავნილმა ექსპედიციამ ნაყოფიერად ჩაიარა.

პარიჟი. ვუარონის მოხსენების წაკითხვის შემდეგ, საბიუჯეტო კომისიამ გადასწყვიტა, არ გამოაქვეყნოს იგი. ზოგიერთ წევრმა განაცხადა, შეიძლება გამოქვეყნდეს მოხსენებაო, რადგანაც იმისი შინაარსი სასახელოა საექსპედიციო რაზმის და ვუარონისთვისო.

პარიჟი. საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელმა წინადადება შეიტანა, 100 ათასი ფრანკით შემცირებულ იქმნას ის ფული, რომელიც მისიებს ჰხმარდებაო. დელკასემ განაცხადა, რომ საზღვარ-გარედ ერთნაირის გულ-მოდგინეობით უნდა მოვეკიდოთ სარწმუნოებისა და საეროვნო საქმეებსაო. დაადგინეს, თანხა 50 ათასის ფრანკით შეამცირონ.

პეტერბურგი. ივანენკოს ნება დაერთო გამოსცეს პოლტავაში ყოველ-დღიური გაზეთი „პოლტავსკი ვესტნიკი“.

17 ნოემბერი.

პეტერბურგი. გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება სენატისადმი, რომ ახლად დაბადებული საიმპერატორო ოჯახის მთავარი როსტისლავი უმაღლესობად იწოდებოდეს.

დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და ახლად დაბადებული მთავარი როსტისლავი კარგად ბრძანდებიან.

ბუხარესტი. პალატის პრეზიდენტად აირჩიეს ფერეკიდი, სენატისა—აურელიანი.

სოფია. ევქსინოგრადში კანჩევის დატუსაღების შესახებ დაწვრილებითი ცნობა: როდესაც მთავარი ფერდინანდი და პოლკოვნიკი მირკოვი ევქსინოგრადის ბაღში დასეირნობდნენ, იპოვეს ბარათი, რომელზედაც ეწერა: „ანარხისტი“. წერილში ნათქვამი იყო, ვინც ამ წერილს ხელი მოაწერა, ის ევქსინოგრადში ჩამოვიდა მთავრის მოსაკლავადაო, მაგრამ მთავრის პატარა შვილების დანახვამ იმდენად აადელვა, რომ იარაღი დააგდო და ბაღში დაიმალაო. მთავარი და მირკოვი მაშინვე შეუდგნენ ბოროტ-გამზრახველის ძებნასა და მალე იპოვეს ბაღში დამალული და შეშინებული ყმაწვილი, რომელმაც განაცხადა, რაზგრადის გიმნაზიის მოწაფე კანჩევი ვარო. როდესაც დაეკითხნენ, რა საჯელს მოელიო, მან უპასუხა—სიკვდილსაო. კანჩევი გამომძიებელს გადასცეს.

ვარშავა. პეტერბურგიდან ჩამოვიდა დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოზის ძე და გენერალ-ადიუტანტ ჩერტკოვისას სადილი მიირთვა.

ბერლინი. საკსენ-ალტენბურგის ჰერცოგი მძიმე ავად გახდა ბრონხიტით.

ბელგრადი. მოსპობილ იქმნა ჯარების მთავარსარდლის თანამდებობა; ამ მოვალეობის აღსრულება დაევალა სამხედრო მინისტრს.

18 ნოემბერი.

პეტერბურგი. „მთავრობის მოამბეში“ დაბეჭდილია: „12 ნოემბერს ლივადიის სასახლეში ხელმწიფე იმპერატორს წარუდგნენ აგინის საბჭოს ხორი-ბურიატთა წარმომადგენლები. მათი მისალმება და შუამდგომლობანი მოისმინა მისს იმპერატორებითი უდიდებულესობამ. შემდეგ იმპერატორმა ბრძანა: „მე მრწამს თქვენი ერთგულება რუსეთის იმპერატორთა წინაშე; მე თქვენს ერთგულებას და უქვეშევრდომილესს სამსახურს არასოდეს არ დავივიწყებ“.

ლონდონი. ტრანსვაალის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი შალკ-ბურგერი, ბურთა დელეგატნი ვესელიესი, ვულმარანსი და დევილიერი გაემგზავრნენ სამხრეთ-აფრიკაში.

პეტერბურგის ბირჟა, 1 ნოემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	5—$6\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$97\frac{1}{8}$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$99\frac{5}{8}$ წვრ გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$94\frac{1}{2}$ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$482\frac{1}{2}$ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$373\frac{3}{4}$ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	298 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	$88\frac{1}{2}$ გაყ.
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$89\frac{7}{8}$ გაყ.
$4\frac{1}{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	490 გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა.	4450 წვრ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	413 გაყიდ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	194 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისის).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევს 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევს 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევს 3 ს. 27 წ. (4 ს. ჯ5 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

სასამართლოს შესახები ცნობანი

სამოსამართლო პალატაში დანიშნული საქმეები 30 ნოემბერს:

1. თედორე პილაგანისა და იორდანე სურმავას საქმე.
2. ეფემია ჩიქოვანისა და არტემ სიმონიანცის დავა.
3. ეპიფანე ცაგარლისა და ერასტე კაწარავას დავა.
4. როსებ, ლუარსაბ, გიორგი და დათა ფარცხვერაშვილის და ბიჭია და ნესტორ საცერიძეს დავა.
5. ალექ. და სენო მხეიძისა და ვასილ კიკნაძის დავა.
6. მიხ. დრეკელოვისა და მარკინის დავა.
7. პავლე ბოყაძისა და გედევან ბახტაძის დავა.
8. ლუკა ბახისა და უტო ბახია სადავო საქმე.
9. სლუჩევსკისა და ოლღა მელიალქოვის დავა.
10. დედულა ხურცინოვისა და ზალიკო და ხოხა კუხანოშვილის დავა.
11. თავ. მიხეილ ლორთქიფანიძისა და თავ. ასლან ლორთქიფანიძის დავა.
12. ნიკოლ. წყობილაძისა და გიორგი და ილარიონ ფურცხვანიძეთა დავა.
13. გ. გძელიშვილისა და მიხ. ბაქრაძის დავა.
14. ეკ. ტატუნაშვილისა და გაბოსი, ლექსოსი და ფარსო კონდარაშვილების დავა.

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ახალი გამოცემა.

სტამბიდგან გამოვიდა მეორე გამოცემა, ბევრად შევსებული, იაკობ გოგებაშვილის რუსულად დაწერილი წიგნისა:

„Правда о Тифлисѣ“.

ფასი ყველგან ერთი აბაზია. საწყობი წერა-კითხვის მაღაზიაშია. ისყიდება სხვა წიგნის მაღაზიებშიაც ტფილისში, აგრეთვე ქუთაისში და სხვაგანაც. (6—6)

იბეჭდება და გამოვა ნოემბერში 1903 წ.

საქართველოს კალენდარი

(ვ. გუნიასი),

გამოცემა „ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა“.

კალენდარი დასურათებული იქნება მრავალის სურათით, როგორც ჩვენის, ისე უცხოეთის ცხოვრებიდან. კალენდარში მოთავსებული იქნება გარდა ჩვეულებრივ საკალენდრო ცნობებისა სალიტერატურო განყოფილებაც.

მიიღება განცხადება კალენდარში დასაბეჭდად შემდეგის პირობებით:

კალენდრის თავში მთელი გვერდი ღირს—10 მან,, $\frac{1}{2}$ გვერდი—6 მან.; კალენდრის ბოლოში: 1 გვერდი—7 მ., $\frac{1}{2}$ გვერდი—4 მან., $\frac{1}{4}$ გვერდი—2 მ., მარტო ადრესის გამოცხადება—1 მ.

განცხადება მიიღება: ტფილისში—ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, ბათუმში—მ. ნიკოლაძესთან და სპ. ჰელიძესთან, ქუთაისში—ვ. ბეჟანიშვილთან და მიტ. ლაღიძესთან.

ნოემბერშივე გამოვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამოცემა

კედლის კალენდარი.

„GRAND PRIX“
PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°
Духи
„Фирузэ“

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
Бальваръ и Юдасафъ, А. Хаханова	„	60
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინის	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელის	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ბ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამუნი ვაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძის	„	15
კონსტანტინე [illegible], თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„
ბაწია და ბუნგლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა	„	30
„შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილისა	„	40
Царица Тамара, მისივე	„	50

Типографія «Гутэнбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.